ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და

იფრასტრუქტურის კომისიის სხდომა

ოქმი N 01 28.01.2026 წ.

მ/წ 28.01. დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და იფრასტრუქტურის კომისიის სხდომა; სხდომას ესწრებოდნენ : სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მევლუდ ლიპარტელიანი, კომისიის წევრები: ხუტა მუკბანიანი, მურმან ტვილდიანი, ირაკლი ქურასბედიანი; ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი; სტუმარი გუბერნიიდან - რაჭა, ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე ალუდა თუთისანი, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ლაშა ბენდელიანი, მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დემური ლიპარტელიანი, მოწვეული სპეციალისტი სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და იფრასტრუქტურის კომისიაში ცოტნე ქურასბედიანი, სხდომის მდივანი ნანი ბენდელიანი.

კომისიის თავმჯდომარემ მევლუდ ლიპარტელიანმა სხდომას გააცნო დღის წესრიგი შემდეგი საკითხებით :

1. 2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი იფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.
   / მომხს: მერიის ინრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ურისის მოვალეობის შემსრულებელი დემური ლიპარტელიანი /

2. 2026 წლის 28 იანვრის მდგომარეობით ლენტეხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით თოვლწმენდითი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.
   / მომხს: მერიის ზედამხედველობის სამსახურის ურისი ლაშა ბენდელიანი /

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

მოისმინეს : 1. მერიის ინრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ურისის მოვალეობის შემსრულებელის დემური ლიპარტელიანის ანგარიში ,, 2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი იფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ".

დ. ლიპარტელიანმა წარმოადგინა 2026 წელს გადაცემული შესყიდვების საპროექტო სამუშაოების ნუსხა:

1. დაბა ლენტეხში მერიის ავტოპარკის და საწყობის ტერიტორიის კეთილმოწყობა.
2. დ. ლენტეხში ლარაშის ციხესთან კოშკის მშენებლობა
3. მუზეუმის ტერიტორიიდან ამაღლების ეკლესიისკენ გადასასვლელი და ბილიკების მოწყობა.
4. დ. ლენტეხში კულტურის სახლის სარდაფში სავარჯიშო ოთახების მოწყობა.
5. სოფ. გვიმბრალაში წყალსადენის რეაბილიტაცია, სოფ. ჩიხარეშში დაბიშა უბანში წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სოფ. ზესხოში და სოფ. ცანაში წყალსადენების რეაბილიტაცია, სოფ. ბაბილში ქვედა უბანში კანალიზაციის მოწყობა.
6. სოფ. ხოფურში გზის საყრდენი კედლის მოწყობა.
7. სოფ. ხელედში ძულვარეშის უბანში და მარგვიში ნაცულის მიმართულებით ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა.
8. სოფელ ჩიხარეშში ბეტონის საფარიანი გზის და საყრდენი კედლის მოწყობა, სოფელ ახალშენში ეკლესიის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია, სოფელ ჟახუნდერში ჯატიშერის უბანში ბეტონის გზის მოწყობა, სოფელ ლეუშერში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა, სო. ყვედრეშში სანიაღვრე არხის მოწყობა.
9. სოფ. ლემზაგორში საჯვარის მთისკენ გზის მოწყობისათვის და სოფელ ლასკადურიდა დაბერის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია. (ამგარიში ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ და საკრებულოს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და იფრასტრუქტურის კომისიის წევრმა ხუტა მუკბანიანმა დასვა შკითხვა: შეიძლება თუ არა წყალსადენის ტენდერები გამოხცადდეს ცალ-ცალკე შეუცვლელად? რაზეც მერის მოადგილისგან ლევან ლიპარტელიანისგან მიიღო პასუხი , რომ ცალ-ცალკე უფრო უკეთესი იქნება ტენდერების გამოცხადება, უფო მეტი ადამიანი დასაქმდება და უფრო გაადვილდება სამუშაოების შესრულება.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ ბატონმა მევლუდ ლიპარტელიანმა გამოთქვა აზრი, რომ ნებისმიერი მუნიციპალური პროექტების დაპროექტებამდე უნდა მოვიწვიოთ პროექტის ავტორი, მოვიწვიოთ შესაბამისი სამსახურის და თემების რწმუნებულები, განვიხილოთ და გავაანალიზოთ როგორ უფრო უკეთესი იქნება, მიეცემათ შენიშვნები და შემდეგ სტანდარტების ფარგლებში შეადგება შესაბამისი პროექტი.

2.მერიის ზედამხედველობის სამსახურის უროსმა ლაშა ბენდელიანმა წარმოადგინა ინფორმაცია 2026 წლის 28 იანვრის მდგომარეობით ლენტეხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით თოვლწმენდითი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად უხვი ნალექისა, თოვლწმენდითი სამუშაოები ჩატარდა შეუფერხებლად

და თავდაუზოგავი შრომის შედეგად დაიდო მაქსიმალური შედეგი, დარჩენილი იყო რამოდენიმე სოფელში ისეთი ადგილი გაუწმენდავი, სადაც ზამთარში არავინ ცხოვრობს, მაგრამ გაიგზავნა მძიმე ტექნიკა და იქაც მოგვარდა პრობლემა; ძირითადი დატვირთვა სამუშაოებზე იყო დაბასა და მის შემოგარენში.

ბატონმა ხუტა მუკბანიანმა ბრძანა, რომ ზედა ზონაში ჩოლურ-ლაშხეთში გაწმენდილია გზები, მაგრამ საჭიროებს უფრო მეტ ტექნიკურ მარილის მოყრას. ასევე საჭიროა ენრგო კომპანიასთან მუნიციპალიტეტს ჰქონდეს უფრო მჭიდრო ურთიერთობა, რომ სტიქიური მოვლენების დროს ნაკლები ხარვეზები იყოს. ყველაშენიშვნა დაზიანებაზე უნდა ეცნობოს მერიას წერილობით, ხოლო მერია დაავალებს ენერგოპროს.

გუბერნატორის მოადგილემ ბატონმა ალუდა თუთისანმა მადლობა გადაუხადა კომისიას საინტერესო საუბრისათვის და საჭიროების შემთხვევაში დახმარების გამოთქვა მზაობა.

გადაწყვიტეს : 1. მერიის ინრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უროსის მოვალეობის შემსრულებელის დემური ლიპარტელიანის ანგარიში ,, 2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი იფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ". ცნობად იქნას მიღებული.

2..მერიის ზედამხედველობის სამსახურის უროსის ლაშა ბენდელიანის მიერ წარმოადგენილი ინფორმაცია 2026 წლის 28 იანვრის მდგომარეობით ლენტეხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით თოვლწმენდითი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ცნობად იქნას მიღებული.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტრუქტურის კომისიის

თავმჯდომარე : /მ. ლიპარტელიანი/